

თჰუ

სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №13

თბილისი

16 ოქტომბერი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი; 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; 3. პროფ. არჩილ ლორია; 4. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე; 5. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; 6. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, 7. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილი; 8. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; 9. უფრ. მასწ. მაია ივანიძე; 10. სტუდენტი ალექსანდრე გოჯიაშვილი; 11. სტუდენტი ირაკლი კორსაველი; 12. სტუდენტი დავით ჭონქაძე; 13. ლორენა შამათავა

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის ფარიდა მუსლიმოვა (პასპორტი №P4043412) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს:

სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 10 ოქტომბრის №461624 წერილის (თჰუ-ში შემოსვლის თარიღი 15.10.2013), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 08 ოქტომბრის №773 ბრძანების, საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის უფლება მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს ფარიდა მუსლიმოვას (პასპორტი №P4043412), რომელმაც 2009 წელს დაამთავრა ბელაქანის რაიონის სოფ. კატეხ-ზავოდის საშუალო სკოლა (ატესტატი B №660384). მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პირადი განცხადების საფუძველზე მიზამშეწინილია იგი ჩარიცხოს თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, თუ ის ჩააბარებს სწავლების ენაში გამოცდას ან სხვაგვარად დაადასტურებს სწავლების ენის ფლობას. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ თავად ის წინააღმდეგია აზერბაიჯანის მოქალაქეების სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებად ჩარიცხვისა, ვინაიდან წინა პრაქტიკის გათვალისწინებით, როგორც წესი ისინი ვერ ახერხებენ ზოგჯერ ენის ბარიერის, ზოგჯერ სხვა მიზეზის გამო პროგრამის

დაძლევას, თუმცა სამწუხაროდ ის შეზღუდულია რექტორატის პოზიციითა და სამინისტროს გადაწყვეტილებით.

აზრი გამოთქვას: პროფ. ა. ლორიამ და მასწ. მ. ივანიძემ


სამართლის ფაკულტეტის საბჭომ ხმათა უმრავლესობით (წინააღმდეგი - კ. ყურაშვილი, ნ. ნიჟარაძე) გადაწყვიტა:

გადაწყვიტა:

1. ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ფარიდა მუსლიმოვა (პასპორტი №P4043412) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით, სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი: ე. იხუგაძე


კ. ყურაშვილი
ე. ირემაძე